

ისტორიის დარაბებში

წარმოსახვა ეს უსაზღვრო შესაძლებლობაა, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევხედოთ ისტორიის ფანჯრებში, დავესწროთ დიდ მეჯლისებს და გავხდეთ ამაღელვებელი ისტორიული მოვლენების ნაწილი. იმაზე დიდი ბედნიერება რა არის, როცა შეგიძლია დაათვალიერო საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მეფის-ერეკლე მეორის საყვარელი ნივთები და წარმოიდგინო, როგორი იყო მისი დილა ზუსტად 300 წლის წინ.

მოდით ერთად შევიხედოთ ისტორიის დარაბებში, დამეთანხმებით, ადვილი არ არის წარმოსახვაში გააცოცხლო თუ როგორი იქნებოდა მეფე ერეკლეს ყოველდღიური ცხოვრება, მაგრამ მაინც ვცადოთ: საუზმობს ოჯახთან ერთად, იხმობს მის მრჩეველს და ადგენს დღის განრიგს, მაგრამ რახან რთველია ალბათ პირველი საქმე ყურძნის დაწურვაა, შემდეგ მიდის გლეხებთან შესახვედრათ და კითხულობს მათ გასაჭირს. რატომღაც მგონია, რომ ის აუცილებლად დაუთმობდა დროს კითხვას და ალბათ იმაზეც იზრუნებდა, რომ ბევრი წიგნი გადათარგნოლიყო და გამდიდრებულიყო ბიბლიოთეკა.

სასახლის შემოგარენი ოქროსფრად ბრწყინავს, ყველგან ხასხასა ფერებია, ამომავალი მზის შუქზე განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომა კახეთში, დილის ნამი ამშვენებს მზესუმზირებს, ოქროსფერ ვაზის ფოთლებს, ბალი სავსეა მწიფე ხილით, კალათებში ნაირნაირი ხილი და შემოდგომის სიმდიდრეა, როგორც მთელს კახეთში, მეფის ვენახშიც იგრძნობა ფუსფუსი, ჟრიაძული, სამზადისი, განსაკუთრებული სურნელი ტრიალებს სისხამ დილით, გაწმენდილ, ნამიან ჰაერში, აისიც კი ოქროსფერია.

ეზოში, დიდი ფერადი ჭადრის ძირში ლამაზ სუფრას შლიან, სათუთად დააფარეს აბრეშუმის ქსოვილი, სუფრასთან ქართული ჩუქურთმებიანი სკამები დგას, მეფის შესაფერისი მაგრამ არა ტახტი. თეთრი, ვაზის ფოთლებიანი გამოსახულებით მოვარაყებულნი ხის სკამები. რამდენი რამის თქმა შეუძლია უბრალო ნივთებს ადამიანის პიროვნებაზე, განსაკუთრებით, თუ მეფეზეა საუბარი. მეფის სუფრას ამშვენებს ბროლის ჭიქები და ლამბაქები, მაგიდა სავსეა სხვადასხვა ქართული ნუგბარით. მეფის საყვარელი, ნ ა ი რ ნ ა ი რ ი ყვავილებიც არის, მათ შორის მზესუმზირები იწონებენ თავს. მაგიდას ამშვენებს ბროწეულები, ჩურჩხელები, ფერად-ფერადი ვაშლები, სხვადასხვა ჯიშის ყურძენი და ყველაზე მთავარი, სიყვარული, ძალიან დიდი სიყვარული ტრიალებს მეფის სუფრასთან, თავადაც აქვია, მზის ამოსვლის სურათით ტკბება და ახალი დღის დასაწყებად ემზადება. რათქმაუნდა მაშინ ხომ ალბათ რთველი იქნებოდა და მეფის გონებაც ალბათ ვენახზე ფიქრით იქნებოდა სავსე შეიძლება თვითონაც აპირებდა რთველში მონაწილეობის მიღებას. ეს გასაკვირი არ იქნებოდა, რადგან მეფე ყველაზე მეტად გლეხობას უდგებოდა მხარში. მეფე სწორედ საყვარელ ოჯახთან ერთად საუზმობდა და ალბათ ამ დროსაც საქართველოზე ფიქრობდა. ახლა კი ჩავიხედოთ მის იახტანში და დავათვალიეროთ მისი საყვარელი ნივთები; იახტანში სათუთად, ძვირფას ქსოვილზე

ალაგია სამი ყავის ფინჯანი, ერთი დიდი ფინჯანი ნალბაქით და თავსაფარებლით, მწვანე, ვერცხლის პატარა ჩაის საწურავი, ცამეტი მარანდული (სპარსული) საპონი, წითელი ხამის ნაჭერი. ალბათ ბევრს გაუკვირდა ამ სიის ნახვა როცა ნახა, რომ მეფის საყვარელი ნივთები სწორედ ამგვარი უბრალო რამეებისგან შედგებოდა. ალბათ ბევრს ეგონა, რომ უფრო ღირებული იქნებოდა თითოეული ნივთი, მაგრამ სწორედ ეს ხდის მეფე ერეკლეს განსაკუთრებულს და გამორჩეულს, ეს ყველაფერი იმდენად ამაღელვებელია, რადგან აცოცხლებს ისტორიას და წარმოიდგენ, როგორ ადგენს მეფე ერეკლე საყვარელი ნივთების სიას და შემდეგ ქალიშვილს სჩუქნის მის საყვარელ ყავის ფინჯნებს, ეს ისეთი სენტიმენტალურია, განა არ აჩუქებდა მეფე მის საყვარელ ქალიშვილს უამრავ ძვირადღირებულ საჩუქარს, მაგრამ ეს იმდენად ძვირფასი იქნებოდა ალბათ თეკლესთვის ეს და ეს ყველაფერი ერეკლე მეფეს ისეთ ადამიანურს ხდის ჩემთვის. სწორედ ეს არის საბუთი იმისა, რომ მეფე ერეკლე შესანიშნავი მეფის გარდა კარგი მამა და ადამიანი იყო, ჩვენს გაოცებას ის საუკუნეების შემდეგაც განაგრძობს.

მთელ საქართველოს ვულოცავ მის მესამასე დაბადების დღეს და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა; ამაყი ვარ იმით, რომ ასეთი მეფე წარმოადგენდა საქართველოს მაშინ და ქმნიდა ჩვენს გასაოცარ ისტორიას. ის იყო, არის და იქნება ადამიანი ვინც შეახსენებს ქართველ ხალხს თუ ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.

სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა
XI კლასი, მარიკა ვანაძე, 16 წლის.